საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2023 წლის მაისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2023 წლის მაისის თვეში.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

2023 წლის 3 მაისს „ზოგადი განათლების შესახებ“ შეიცვლა საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი და ის ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„6. ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი, რომელიც პირს ამ კანონის 7^1 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სასწავლო წლის დაწყების თარიღის ჩათვლით უსრულდება. ამასთანავე, პირი, რომელსაც 6 წელი სასწავლო წლის დაწყების თარიღის მომდევნო დღიდან 1 ნოემბრამდე უსრულდება, უფლებამოსილია მშობლის გადაწყვეტილებით ნებაყოფლობით დაიწყოს სწავლა ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 430050000.05.001.020848

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“

2023 წლის 16 მაისს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი (ტერმინთა განმარტება); მე-8 მუხლი (ანგარიშვალდებული პირის მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება და მართვა) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 080090020.05.001.020861

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

2023 წლის 16 მაისს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[25] მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ა) ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაცული სასაქონლო ნიშანი, მომსახურების ნიშანი ან კოლექტიური ნიშანი, რეგისტრირებული დიზაინი, პატენტით დაცული გამოგონება ან რეგისტრირებული სასარგებლო მოდელი, საავტორო უფლებით ან მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტი;“;

ბ) „ბ.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ.გ) პატენტით დაცული გამოგონების ან რეგისტრირებული სასარგებლო მოდელის მიმართ – პატენტიდან ან რეგისტრაციიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული მოწყობილობა ან ნივთიერება, რომლის წარმოება, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, შენახვა, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა ან ამ მიზნით შენახვა/დასაწყობება (დროებით შესანახად განთავსება) ანდა სხვაგვარი გამოყენება იწვევს პატენტის ან მოწმობის მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევას; პატენტით ან რეგისტრაციით დაცული ხერხით დამზადებული მოწყობილობა ან ნივთიერება, რომლის დამზადება, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, შენახვა, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა ან ამ მიზნით შენახვა/დასაწყობება (დროებით შესანახად განთავსება) ანდა სხვაგვარი გამოყენება იწვევს პატენტის ან მოწმობის მფლობელის განსაკუთრებული უფლების დარღვევას;“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 060000000.05.001.020866

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

2023 წლის 16 მაისს ამავე კოდექსში შევიდა ცვლილება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1100-ე მუხლი (გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელსა და სამრეწველო ნიმუშზე უფლებათა დაცვა) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 040000000.05.001.020865

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“

2023 წლის 16 მაისს ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი (კანონის რეგულირების სფერო); მე-2 მუხლი (კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 050030010.05.001.020867

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №29/04

2023 წლის 1 მაისს ძალადაკარგულად გამოცხადდა „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 28 თებერვლის №29/04 ბრძანება და №77/04 ბრძანებით დამტკიცდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესი თანდართულ დანართებთან ერთად.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.18.011.016687

ბრძანება, გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის, მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-14 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებისა, ამოქმედდაგამოქვეყნებისთანავე.

2. ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლი, მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, მე-12 მუხლის პირველი პუნქტი, მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი, მე-14 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-3

2023 წლის 2 მაისს დამტკიცდა ,,პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრების სახელმწიფო რეესტრისა და საბუღალტრო ფირმების სახელმწიფო რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მათი სტრუქტურისა და ფორმის, მათში ასახული ინფორმაციის ნუსხის და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესი“ დანართის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 260000000.64.076.016119

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2023 წლის 13 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №42/ნ

2023 წლის 8 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №31/ნ-ით საგნისა და „პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №42/ნ ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დამტკიცებულ იქნა „საგნისა და პროფესიული

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

უნარების გამოცდების ჩატარების წესს“ დაემატა 33-ე მუხლი (2023 წელს ორგანიზებული საგნის გამოცდის თავისებურებები).

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018286

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №163/ნ

2023 წლის 8 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №32/ნ-ით „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსების დანამატების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატების მასწავლებლებზე გაცემის მიზნით საჯარო სკოლებისათვის ყოველთვიურად დამატებითი დაფინანსების გამოყოფის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 18 დეკემბრის №163/ნ ბრძანებაში შევიდა ცვლილებები და დამტკიცებული წესის:

ა) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. საჯარო სკოლებს, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი დაფინანსების გარდა, ყოველთვიურად გამოეყოფა დამატებით დაფინანსება „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპენსიო შენატანი, დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით და ასევე, საჯარო სკოლის მასწავლებლის ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულებისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულებისა და დროებითი შრომისუუნარობის გამო, დამატებითი ანაზღაურების სახით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგო და დანამატები.“;

ბ) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. ამ მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები ითვალისწინებს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში საჯარო სკოლის მიერ ასახულ ინფორმაციას საჯარო სკოლის მასწავლებლის ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულებისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების,

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულებისა და დროებითი შრომისუუნარობის შესახებ.“.

ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე, საჯარო სკოლის მასწავლებლის ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულებისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების წარმოშობის შემთხვევაში, საჯარო სკოლა ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სამინისტროს, რომელიც უზრუნველყოფს 2023 წლის 1 იანვრიდან ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე პერიოდის ანაზღაურების მიზნით, შესაბამისი დამატებითი დაფინანსების გამოყოფას.

ზემოაღნიშნული წესის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430110000.22.022.018287

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №09/ნ

2023 წლის 15 მაისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის №24/ნ ბრძანებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 15 სექტემბრის №09/ნ ბრძანებაში შევიდა ცვლილება და „სატრანსპორტო საშუალებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვაში ან/და საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვაში ჩართულ პირთათვის საწყისი კვალიფიკაციის მინიჭების წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. დაინტერესებული პირი სახიფათო ტვირთების გადამზიდავი მძღოლის კვალიფიკაციას მოიპოვებს სააგენტოში (პირველი კლასის ნივთიერებათა და ნაკეთობათა გადაზიდვის სპეციალიზებული კურსი და მე-7 კლასის რადიოაქტიური მასალის გადაზიდვის სპეციალიზებული კურსი) ან სასწავლო ცენტრში (მომზადების საბაზო კურსი და ცისტერნებით გადაზიდვის მომზადების სპეციალიზირებული კურსი) თეორიული სწავლების გავლის, სააგენტოში თეორიული ტესტირების წარმატებით ჩაბარებისა და სააგენტოს მიერ სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის გაცემის საფუძველზე.“.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 310150000.77.090.016024

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 17 მაისიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2023 წლის 16 მაისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №160 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები და საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2); „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017688

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ამავე ბრანებაში 2023 წლის 18 მაისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №164 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება და „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3); „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) და ა.შ. ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017689

ბრძანება ამოქმედდდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდა 2023 წლის 19 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №254

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2023 წლის 19 საქართველოს ფინანსთა მინისტრის №167 ბრძანებით საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის, საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და მათი განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №254 ბრძანებაში შევიდა ცვლილება და „საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესის“ (დანართი №1); „საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები და მათი განხორციელების წესის“ (დანართი №2) ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

ზემოაღნიშნული ინსტრუქციის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017690

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდა 2023 წლის 19 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №09/ნ

2023 წლის 15 მაისს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის №24/ნ ბრძანებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 15 სექტემბრის №09/ნ ბრძანებაში შევიდა ცვლილება და „სატრანსპორტო საშუალებით სახიფათო ტვირთის გადაზიდვაში ან/და საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვაში ჩართულ პირთათვის საწყისი კვალიფიკაციის მინიჭების წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. დაინტერესებული პირი სახიფათო ტვირთების გადამზიდავი მძღოლის კვალიფიკაციას მოიპოვებს სააგენტოში (პირველი კლასის ნივთიერებათა და ნაკეთობათა გადაზიდვის სპეციალიზებული კურსი და მე-7 კლასის რადიოაქტიური მასალის გადაზიდვის სპეციალიზებული კურსი) ან სასწავლო ცენტრში (მომზადების საბაზო კურსი და ცისტერნებით გადაზიდვის მომზადების სპეციალიზირებული კურსი) თეორიული სწავლების გავლის, სააგენტოში თეორიული ტესტირების წარმატებით ჩაბარებისა და სააგენტოს მიერ სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მომზადების მოწმობის გაცემის საფუძველზე.“.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 310150000.77.090.016024

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 17 მაისიდან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №04/ნ

2023 წლის 31 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №04/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებაში შევიდა ცვლილება და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ მე-3 მუხლის 5^1 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„5^1. ამ მუხლით დადგენილ ეტაპებზე რეგისტრაცია შესაძლებელია იმ მოსწავლისთვის, რომელიც ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყებისას აკმაყოფილებს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს სწავლის დაწყების ასაკთან დაკავშირებით და მისი ასაკი არ აღემატება 10 წელს.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430050000.22.022.018293

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება №7

2023 წლის 30 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის №5 დადგენილებით „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამ-ტეხლოსაგან გათავისუფლებისა და ვალდებულებების შესასრულებლად დამატებითი ვადის მიცემის წესის განსაზღვრის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 31 ივლისის №7 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. წესის მოქმედება, მე-7 მუხლის გარდა, არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სამინისტროსთან გაფორმებულ ოქმში ან/და ხელშეკრულებაში სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ შესასრულებელ ვალდებულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორია სამინისტრო, სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ან/და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.“

ზემოაღნიშნული დანართის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040090000.32.057.016376

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge